ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4351052

ნომერი: AR1655508

თარიღი : 24.01.2019

გაცემის თარიღი : 31.01.2019

გაცნობის თარიღი : 18.02.2019

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპირო , და კოსტავას I შესახვევს შორის;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვლადიმერ სახვაძე პ/ნ 01001024444
- თბილისი, მანაგაძის 8

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის,"კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული 2019 წლის 24 იანვრის AR1655508 განცხადება, რომელიც ეხება ქ.თბილისში, მდ.მტკვრის მარჯვენა სანაპიროსა და კოსტავას I შესახვევს შორის არსებულ ფასადზე სარეკლამო აბრის განთავსების საკითხს.

პასუხად გაცნობებთ, რომ არ არის მიზანშეწონილი საპროექტო გადაწყვეტის ამგვარი განხორციელება. სარეკლამო აბრა მოაწყვეთ ფასადის სიბრტყეზე, ღიობის თავზე ფონის გარეშე მოცულობითი ასოებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური ვერ დააკმაყოფილებს თქვენს მოთხოვნას ქ.თბილისში, მდ.მტკვრის მარჯვენა სანაპიროსა და კოსტავას I შესახვევს შორის არსებულ ფასადზე სარეკლამო აბრის განთავსებასთან დაკავშირებით.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.